ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3933470

ნომერი: AR1589873

თარიღი : 30.03.2018

გაცემის თარიღი : 27.04.2018

გაცნობის თარიღი : 27.04.2018

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გურამიშვილის მეტროდან დიდ დიღომში მიმავალ მაგისტრალსა და ღვინის ქარხანას შორის;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნოდარ ჩილინდრიშვილი პ/ნ 01001002536
- სარაჯიშვილი

ნომენკლატურა :

- სასადილო
- II კლასი
- ახალი მშენებლობა
- პროექტის შეთანხმება

.მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების (გაპი) რეკვიზიტები.:

- .დადგენილი გაპის ბრძანების ნომერი.: 1133
- .დადგენილი გაპის ბრძანების თარიღი.: 8.03.2010

.არსებობის შემთხვევაში სამსახურის მიერ შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის (გრგ) რეკვიზიტები.:

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: კვების ობიექტი

- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: არჩილ რაზმაძე
- .ორგანიზაცია (არესბობის შემთხვევაში).: ინდ/მეწარმე "ა.რაზმაძე"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 01005006177

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არესბობის შემთხვევაში).: შპს "საჭე-92"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 209439730
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ნოდარ ჩილინდრიშვილი
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01001002536

.ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით).:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 1555.0
- .განაშენიანების ფართობი (კვ.მ).: 514.64
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 211.15
- .კომერციული ფართობი (კვ.მ).: 138.8
- .სარდაფის ფართობი (კვ.მ).: 38.12
- .კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი (კვ.მ).: 23.38
- .დამხმარე ფართობი (კვ.მ).: 10.85
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 1387.0
- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 1071.0
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 316.0
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 10.45
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 6.5
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 3.95
- .კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 350.42+179.19 კ1=0.3
- .კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 970.0+177.03 კ2=0.7
- .კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 350.0 კ3=0.2

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ, რომ სამსახურის მიერ 2010 წლის 08 მარტს მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები #1133 გაიცა არსებული შენობის რეკონსტრუქციაზე რომლის საფუძველზეც შეთანხმდა არქიტექტურული პროექტი, გაიცა მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის სანებართვო მოწმობა (24/09/2010 წ. #01/2132 სანებართვო მოწმობა #ნ/2348-1 17/11/2010 წ. #01/2617 სანებართვო მოწმობა #ნ/2846-1). მიწის ნაკვეთის ფართობი შეადგენდა 546 კვ.მ ხოლო საკადასტრო კოდი იყო #01/11/04/026/064, ვინაიდან ამჟამად შეცვლილია ნაკვეთის კონფიგურაცია, ფართი და საკადასტრო კოდი #01/11/04/026/121, ასევე ითხოვთ ახალი სხვა ფუნქციის შენობის მშენებლობას საჭიროა პირველ რიგში ცვლილება შეიტანოთ 2010 წლის 08 მარტის #1133 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში და მოითხოვო ყველა ზემოაღნიშნული ცვლილების შეტანა და ასევე ფუნქციურ დანიშნულებში მოითხოვოთ ახალი მშენებლობა შესაბამისი ფუნქციის დაფიქსირებით.
ამასთანავე გაცნობებთ, რომ ამჟამად წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით გაურკვეველია ხდება არსებულ შენობაზე მიშენება თუ ახალი ცალკე მდგომი შენობის მშენებლობა. იმ შემთხვევაში თუ საპროექტო შენობა ცალკე მდგომია და გააჩნია დამოუკიდებელი საძირკველი საჭიროა წარმოადგინოთ შესაბამისი ნახაზები რომელზეც საპროექტო შენობასთან ერთად ფრაგმენტულად იქნება გამოხაზული არსებული შენობა ღიობები და დაცილების მანძილის დატანით. აღნიშნული თაობაზე ინფორმაცია განმარტებით ბარათში განიმარტოს და დამატებით

წარმოდგენილ იქნას შესაბამისი სპეციალისტის განმარტება (დამოწმებული სახით). გაითვალისწინეთ, რომ აღნიშნულის დაზუსტების შემდგომ იქნება შესაძლებელი საკითხის სრულყოფილად განხილვა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება. იმ შემთხვევაში თუ საპროექტო ობიექტი იქნება დამოუკიდებელი, გაითვალისწინეთ: გენგეგმაზე და გეგმებზე დატანილ იქნას წარმოსახვითი მიჯნის ხაზი ისე, რომ აღნიშნულის მიმართ არსებულსა და სარეკონსტრუქციო შენობებით დაცულ იქნას წარმოსახვითი მიჯნის ზონა. გაითვალისწინეთ შენობის გეგმებზე ფუნქციის შესაბამისად დატანილი უნდა იქნას სათავსების ექსპლიკაციები.

ამ ეტაპზე საკითხის განხილვის შედეგად დადგინდა გარკვეული სახის ხარვეზები (ხარვეზების შესახებ ინფორმაცია მითითებულია შესაბამისი ველების გასწვრივ) კერძოდ:

.ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით). -> .განაშენიანების ფართობი (კვ.მ).: იმ შემთხვევაში თუ შენობა ცალკე მდგომია უნდა მიუთითოთ მხოლოდ საპროექტო შენობის მოშენების ფართი.

.ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით). -> .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: შეივსოს ჭრილის შესაბამისად.

.ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით). -> .კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : მიეთითიოს ტერიტორიაზე ყველა არსებული შენობების განაშენიანების ფართობები (ჩაიწეროს თითოეულის ფართობი საჯარო რეესტრის #–ის მითითებით), ხოლო შემდგომ მათი ჯამური მონაცემის მიხედვით იქნას დაანგარიშებული კოეფიციენტი

.ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით). -> .კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : მიეთითიოს ტერიტორიაზე ყველა არსებული შენობების განაშენიანების ფართობები (ჩაიწეროს თითოეულის ფართობი საჯარო რეესტრის #–ის მითითებით), ხოლო შემდგომ მათი ჯამური მონაცემის მიხედვით იქნას დაანგარიშებული კოეფიციენტი

.საპროექტო შენობა-ნაგებობის ვექტორული CAD ფაილი. -> .საპროექტო შენობა-ნაგებობის ვექტორული ფაილი AutoCad - ის ან ArchiCad - ის სახით. : ვექტორული ფაილი დაკორექტირდეს ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით და ასევე არსებული შენობები დატანილ იქნას საკადასტრო გეგმის შესაბამისად.წარმოდგენილ იქნას ყველა არსებული და საპროექტო შენობის მოშენების ფართის, კ1 და კ2 კროკები შესაბამისი შენობის ნუმერაციის და ექსპლიკაციის დატანით.

- საპროექტო ტერიტორიაზე გადის კანალიზაციის მილი ს/კ N 01.01.755 მესაკუთრე: სახელმწიფო და საკომუნიკაციო ნაგებობა მესაკუთრე: ახალი ქსელები N 01.00.036 საჭიროა წარმოადგინოთ მესაკუთრის თანხმობა განსახორციელებელი მშენებლობის შესაძლებლობაზე.

განახლებული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდგომ სამსახური ხელმეორედ დაუბრუნდება აღნიშნულ საკითხს და მოგწერთ შესაბამის გადაწყვეტილებას.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

• დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული,

სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.